*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ - სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები;**

| | |
|---|---|
| თეონა ბუხიაშვილი ; | ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი |
| ხათუნა თოიძე ; | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი |
| ნანა ნიკოლაშვილ; | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი |
| რუსუდან ნიპარიშვილ; | უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი |
| ხათუნა კალმახელიძე; | ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი |
| მაკა აფრიამაშვილი; | ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი |
| ნატო კვეტენაძე; | სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი |
| მაია ჩაჩხიანი; | მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი |
| ქეთევან ქობალია; | სპორტის საგნობრივი ექსპერტი |
| ნინო ჭანტურიძე; | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური |

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 242007626 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |
| ფაქტობრივი მისამართი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |
| საფოსტო ინდექსი | 4900 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | ვებ-გვერდი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | choAmaghleba@mes.gov.ge / |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577625353 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 2 26 0000313228, 16/03/2026 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026 წლის 24 და 24 აპრილი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | სახელმწიფო ენა | ჩოხატაური, სოფელი ამაღლება ერთ შენობა-ნაგებობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | სახელმწიფო ენა | ჩოხატაური, სოფელი ამაღლება ერთ შენობა-ნაგებობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | სახელმწიფო ენა | ჩოხატაური, სოფელი ამაღლება<br>ერთ შენობა-ნაგებობა.<br>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 16 მარტის MES 2 26 0000313228 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. 2026 წლის 23 და 24 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში. ( მისამართი; ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ამაღლება) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, გამართა რამდენიმე ონლაინ-შეხვედრა, სადაც შეთანხმდა შეფასების მიდგომა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული გეგმა წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი განხორციელდა სწორედ ამ გეგმის შესაბამისად.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის ბრძნებით N 73 (23 აპრილი, 2026 წ.) დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების წარდგენისას, ექსპერტებმა გააცნეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რაზედაც ვიზიტის დასრულებისას დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია. ვიზიტის პროცესში შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 100 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*საბაზო საფეხური* | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი 3.4.1.6.* | სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას | ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორი განთავსებულია სკოლის დირექტორის კაბინეტში.<br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის 13 მაისი. - 2027 წლის 13 მაისი.<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 3.5.1.4.* | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსი, რამაც შესაძლოა მომავალში შეზღუდოს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება, ამასთან საბუნებისმეტყველო/კომპიუტერული ლაბორატორი, ბიბლიოთეკა და სააქტო დაბრბაზი განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე, შესაბამისად ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.<br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის 13 მაისი - 2027 წლის 13 მაისი.<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*ზოგადი განათლების საბაზო საფეხური* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.3.* | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, | *სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ უნდა უზრუნველყოს საჭირო ლაბორატორიული სივრცის მოწყობა და მისი შესაბამისი ინვენტარით, რეაქტივობით აღჭურვა - 2026 წლის 13 მაისი - 2027 წლის 13 მაისამდე განსაზღვრულ ვადებში.* |

| | | |
|---|---|---|
| | მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.* |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*ზოგადი განათლების საშუალო საფეხური* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.3.* | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | *სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ უნდა უზრუნველყოს საჭირო ლაბორატორიული სივრცის მოწყობა და მისი შესაბამისი ინვენტარით, რეაქტივებით აღჭურვა - 2026 წლის 13 მაისი - 2027 წლის 13 მაისამდე განსაზღვრულ ვადებში.*<br>*სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.* |
| | | |
| | | |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.1.1.4.* | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ | **სკოლას მიეცა რჩევა,** სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტები მოიყვანოს ქრონოლოგიურ შესაბამისობაში მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ აქტივობებთან.<br>( იხილეთ ინდიკატორის აღწერა ) |
| *ინდიკატორი 1.2.1.1.* | სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების | • **სკოლას ასევე მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის დაკვირვების ან მტკიცებულებების შესწავლის ინდიკატორები. |

| | | |
|---|---|---|
| | შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს | წარმოდგენილი დოკუმენტის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ავსებს „ქვემოთ მოცემულ ცხრილს“, თუმცა დოკუმენტის შესწავლისას დადგინდა, რომ მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული ანგარიშგების რაიმე მექანიზმი ცხრილის სახით.<br>• **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ წარმოდგენილი მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაურთოს მონიტორინგის ანგარიშის ცხრილი. |
| *ინდიკატორი 1.2.1.2.* | სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ გაწეროს დაგეგმილი/განსაზღვრული მიზნები და მიზნის შესაბამისი აქტივობები.<br>**სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიულ გეგმაში გაწეროს, სტრატეგიული მიზნების შესრულების ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და მითითებული ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება პრობემასთან შესაბამისობაში. |
| *ინდიკატორი 1.2.1.3.* | სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დოკუმენტურად ასახოს, რომელი სხდომის ოქმით შემუშავდა და დადმკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| *ინდიკატორი 1.2.2.1.* | სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს | **სკოლას მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზღვროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დაკვირვების ან მტკიცებულებების შესწავლის ინდიკატორები. |
| *ინდიკატორი 1.2.2.2.* | მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების |

| | | |
|---|---|---|
| | დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით | პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. |
| *ინდიკატორი 1.2.2.4.* | სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის | **სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესულების შედეგების ანალიზის ფორმა, რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს შეაფასებს და შემდგომი ანგარიშით წარდგება პედსაბჭოს წინაშე. |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი 3.2.2.1.* | პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად | სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი ( დირექტორის მ/შ ბრძანება N 26. 02 თებერვალი, 2026 წ. ) რომლის მე-6 მუხლი ადგენს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა პროცესს. წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი იყო მე-10 მუხლის 1 პუნქტის ჩანაწერი. ( იხილეთი ინდიკატორის აღწერა)<br>**სკოლას მიეცა რჩევა,** გადახედოს და შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტთან. |
| *ინდიკატორი 3.3.1.1.* | სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის საფუძველზე შექმნას მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც უზრუნვეოყოფს სკოლაში სწავლების ხარისხის განვითარებასა და პროფესიულ მხარდაჭერას. |
| *ინდიკატორი 3.3.2.1.* | სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, | **სკოლას მიეცა რჩევა:** საზოგადოებასთან ეფქტიანი კომუნიკაცისათვის შეიმუშავოს ,,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის ერთ-ერთი |

| | | |
|---|---|---|
| | უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები | მიზანიცაა ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უკუკავშირის მიღება და გაანალიზება. დაწესებულებისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური. |
| *ინდიკატორი 3.4.1.2.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ აწარმოოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, შეიძინოს სამედიცინო ოთახისთვის გათვალისწინებული შირმა. |
| *ინდიკატორი 3.5.1.1.* | | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი გასწორდეს რეალურ მოცემულობასთან. **( იხილეთ ინდიკატორის აღწერა)** |
| *ინდიკატორი 3.5.1.2.* | დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი გამოაკრას შესაბამის სივრცეებში. |
| *ინდიკატორი 3.5.1.3.* | სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით | **სკოლას მიეცა რჩევა** ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. |
| *ინდიკატორი 3.6.1.1.* | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ განაახლოს და გაზარდოს ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა მოხდეს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა. |

| | | |
|---|---|---|
| | | **სკოლას მიეცა რჩევა,** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. |
| *ინდიკატორი N 3. 6.1.2.* | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც დაადგენს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების მკაფიო წესს. |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N 4. 2.3.1.* | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი | **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 1.1.2.1.* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*<br>*სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.* |
| *ინდიკატორი 1.1.2.1.* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე** | *საზოგადოებრივი მეცნიერებები:*<br>*სასურველია დაწყებით საფეხურზე მესამე კლასის საგან მე და საოზგადოებაში გასწორდეს სავალდებულო სამი თემა:* |

| | | |
|---|---|---|
| | ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | *„ჩემი ოჯახი“, „ სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები“ „გარემო რომელშიც ვცხოვრობ“ დარჩეს პირველ ველში. დანარჩენი ჩამონათვალი გადმოიტანეთ საკითხებად ან ქვეთემებად შესაბამის სავალდებულო თემის გასწვრივ საკითხთა ჩამონათვალის ველში.* |
| *ინდიკატორი 1.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***მათემატიკა:***<br>*სასურველია, კურიკულუმის თავფურცელში სრულყოფილად წარმოვადგინოთ ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, კერძოდ: საგნობრივი კურიკულუმის სახელწოდება, მათემატიკის საგნის ხანგრძლივობა სემესტრებში, კურიკულუმის განხორციელების მატერიალური, ძირითადი და სასწავლო რესურსი, თემის დამუშავებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა.* |
| *ინდიკატორი 1.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***სპორტი:***<br>*სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.* |
| *ინდიკატორი 1.1.2.2.* | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***<br>*სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინებულ იქნას მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.* |
| *ინდიკატორი 1.1.2.3.* | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***<br>*სასურველია, სკოლამ კურიკულუმში ასახოს მრავალფეროვანი რესურსები. მიუთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება.* |

| | | |
|---|---|---|
| | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | |
| *ინდიკატორი* ***1.1.2.4.*** | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | *სახელმწიფო ენა:*<br>*სასურველია, სკოლამ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში თვალსაჩინოდ გამოკვეთოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.* |
| *ინდიკატორი* ***1.1.2.5.*** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*<br>*სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას სკოლა დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსებულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.* |
| *ინდიკატორი* ***1.1.2.5.*** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | *ესთეტიკური აღზრდა:*<br>*სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა საგანში, დაწყებით საფეხურზე, შემაჯამებელი დავალებების კრიტერიუმების შექმნისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტების გათვალისწინება ( დავალებები დაიწეროს თემაში შემავალი საკითხების გათვალისწინებით), ხოლო კრიტერიუმები შეესაბამებოდეს (ამოწმებდეს) შემაჯამებელი დავალებებში შემავალი საკითხების შინაარსს.* |
| *ინდიკატორი* ***1.1.2.5.*** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო | *სახელმწიფო ენა:*<br>*სასურველია, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნებოდეს შუალედური* |

| | | |
|---|---|---|
| | გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | *მიზნების/შემოქმედებითი პროდუქტებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და სტანდარტის შედეგების მიღწევას.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა კათედრასთან კოორდინაციით მოახდინონ კურიკულუმების გადახედვა და მათში იმ რესურსების ინტეგრირება, რომლებსაც რეალურად იყენებენ კონკრეტული თემების სწავლებისას. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, დოკუმენტურ თანმიმდევრულობას და დაეხმარება ახალბედა მასწავლებლებს გამოცდილების გაზიარებაში.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავადაც შექმნან სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამხმარე რესურსები.* |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)* | ***რჩევა*** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 1.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შენარჩუნებული იყოს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო,რაც ხაზს გაუსვამდა თანამშრომლობით მუშაობას . ასევე საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის* |

| | | |
|---|---|---|
| | | *მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.* |
| *ინდიკატორი N 1.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***მათემატიკა:*** *სასურველია, კურიკულუმის თავფურცელში სრულყოფილად წარმოვადგინოთ ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, კერძოდ: საგნობრივი კურიკულუმის სახელწოდება, მათემატიკის საგნის ხანგრძლივობა სემესტრებში, კურიკულუმის განხორციელების მატერიალური, ძირითადი და სასწავლო რესურსი, თემის დამუშავებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა.* |
| *ინდიკატორი N 1.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***სპორტი:*** *სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.* |
| *ინდიკატორი N 1.1.2.2.* | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.* |
| *ინდიკატორი 1.1.2.4.* | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში თვალსაჩინოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* **1.1.2.4.** | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***<br>*სასურველია აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე, სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს,უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.* |
| *ინდიკატორი* **1.1.2.5.** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***<br>*სასურველია, შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები.*<br>*შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე.*<br>*მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.* |
| *ინდიკატორი* **1.1.2.5.** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***ესთეტიკური აღზრდა:***<br>*სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა საგანში, საბაზო საფეხურზე, შემაჯამებელი დავალებების კრიტერიუმების შექმნისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტების გათვალისწინება ( დავალებები დაიწეროს თემაში შემავალი საკითხების გათვალისწინებით), ხოლო კრიტერიუმები შეესაბამებოდეს (ამოწმებდეს) შემაჯამებელი დავალებებში შემავალი საკითხების შინაარსს.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* **1.1.2.5.** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | *სახელმწიფო ენა:* *სასურველია, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნებოდეს შუალედური მიზნების/შემოქმედებითი პროდუქტებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და სტანდარტის შედეგების მიღწევას.* |
| *ინდიკატორი* **2.2.1.1.** | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.* |
| *ინდიკატორი* **2.2.1.3.** | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ შეიმუშაოს უფრო კონკრეტული, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ასევე, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.* |
| *ინდიკატორი* **2.2.1.3.** | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | *ესთეტიკური აღზრდა:* *სასურველია, მუსიკისა და ხელოვნების საგნებში, საბაზო საფეხურზე, შემაჯამებელი დავალებების შექნისას კათედრამ გაითვალისწინოს მაღალი სააზროვნო უნარებზე ორიენტირებული საკითხების შეტანაც, მაგალითად, მუსიკალური მასალის მოსმენისას მხატვრულ შინაარსზე მსჯელობა მუსიკის მახასიათებლების საშუალებით და კანონზომიერებების დადგენისა და განზოგადების უნარების შემოწმება.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, სკოლამ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საჭირო რეაქტივებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსების შეძენა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | *სახელმწიფო ენა:* *სასურველია, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავადაც შექმნან სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამხმარე რესურსები.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.2.* | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, სკოლამ და საგნობრივმა კათედრამ იმუშაონ დამხმარე ციფრული რესურსების (ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები) ბაზის გაფართოებაზე. მიზანშეწონილია შეიქმნას ვალიდური ინტერნეტ-რესურსების (უფასო საგანმანათლებლო პლატფორმების) კატალოგი, რაც პედაგოგებს დაეხმარება მწირი მატერიალური ბაზის პირობებშიც კი უფრო მრავალფეროვანი გახადონ სასწავლო პროცესი.* |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 1.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შენარჩუნებული იყოს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო,რაც ხაზს გაუსვამდა თანამშრომლობით მუშაობას .* |

| | | |
|---|---|---|
| | ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | |
| *ინდიკატორი N* ***1.1.2.1.*** | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | *მათემატიკა:* *სასურველია, კურიკულუმის თავფურცელში სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, კერძოდ: საგნობრივი კურიკულუმის სახელწოდება, მათემატიკის საგნის ხანგრძლივობა სემესტრებში, კურიკულუმის განხორციელების მატერიალური, ძირითადი და სასწავლო რესურსი, თემის დამუშავებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა.* |
| *ინდიკატორი N* ***1.1.2.1.*** | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ***სპორტი:*** *სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.* |
| *ინდიკატორი N* ***1.1.2.2.*** | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია, კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინებულ იქნას მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.* |
| *ინდიკატორი* ***1.1.2.4.*** | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში სკოლამ თვალსაჩინოდ გამოკვეთოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* **1.1.2.4.** | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***<br>*სასურველია, აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე, სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს,უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.* |
| *ინდიკატორი* **1.1.2.5.** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***<br>*სასურველია, შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები.*<br>*შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.* |
| *ინდიკატორი* **1.1.2.5.** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***სახელმწიფო ენა:***<br>*სასურველია, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნებოდეს შუალედური მიზნების/შემოქმედებითი პროდუქტებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და სტანდარტის შედეგების მიღწევას.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.1.1.* | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.* |
| *ინდიკატორი 2.2.1.3.* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ შეიმუშაოს უფრო კონკრეტული, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ასევე, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, სკოლამ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საჭირო რეაქტივებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსების შეძენა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | *სახელმწიფო ენა:* *სასურველია, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავადაც შექმნან სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამხმარე რესურსები.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.2.* | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სასურველია, სკოლამ და საგნობრივმა კათედრამ იმუშაონ დამხმარე ციფრული რესურსების (ვირტუალური ლაბორატორიები,* |

| | | |
|---|---|---|
| | | *სიმულაციები) ბაზის გაფართოებაზე. მიზანშეწონილია შეიქმნას ვალიდური ინტერნეტ-რესურსების (უფასო საგანმანათლებლო პლატფორმების) კატალოგი, რაც პედაგოგებს დაეხმარება მწირი მატერიალური ბაზის პირობებშიც კი უფრო მრავალფეროვანი გახადონ სასწავლო პროცესი.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ( MES 0 26 0000580301, 18/05/2026) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. შესაბამისად, ინდიკატორები, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ - მე-3 სტანდარტი, ინდიკატორი; N 3.4.1.6 ინდიკატორი - 3.5.1.4.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **სკოლის მისიით** გაცხადებულია, ,,შექმნას თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო სასწავლო გარემო. უზრუნველყოს მოსწავლეებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების ფორმირება; კონკურენტუნარიანი, წარმატებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი და ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.“ დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1 (2025 წ. 29 მაისი ) რომლის მიხედვითაც დგინიდება, რომ 2023 წლის 5 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ( ბრძანება N 75 ) სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა სკოლის კონცეპტუალური დოკუმენტების ნარატივი.
**ინდიკატორის (1.1.1.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა აყალიბებს მის ძირითად როლს, როგორც მრავალკომპონენტიან სივრცეს, სადაც ხდება არა მხოლოდ სწავლება, არამედ პიროვნების განვითარება და იმ უნარების დახვეწა, რომელიც საჭიროა პიროვნული განვითარებისათვის. სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება საკუთარ თავს განიხილავს, როგორც უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.
**ინდიკატორის (1.1.1.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

### 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 75 ) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევის ამსახველი მასალები ( კითხვარი, პრეზენტაციები) და ოქმი N 1, ( 2025 წლის 29 მაისი ) , რომელიც ადასტურებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სასკოლო საზოგადოების კვლევა, შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტები, რომლის განხილვა მოხდა ცალკე კათედრების და ცალკე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის მოსამზადებლად საჭირო ღონისძებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 ( 29 მაისი, 2025 წელი ) სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი აქტივობები.
**ინდიკატორის (1.1.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

### 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, (დირექტორის მ/შ ბრძნება N 42, 5 სექტემბერი, 2025 წელი) მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. აღნიშნული დასტურდება, როგორც მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებებით, ასევე პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმებით, ( ოქმი N 3, მისია ხედვა/ღირებულებების) ასევე სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების, სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრების შესახებ დირექტორის ანგარიშით. შესწავლილი დოკუმენტებით დადგინა, რომ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცდა 2025 წლის 5 სექტემბერს, ხოლო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი, რომელმაც ასევე ჩაატარა სასკოლო კვლევა სკოლის მისიისა და ღირებულებების მოსამზადებლად - დირექტორის მ/შ ბრძანებით შეიქმნა და დამტკიცდა 2023 წელს. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტები მოიყვანოს ქრონოლოგიურ თანხვედრაში მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ აქტივობებთან.

**ინდიკატორის (1.1.1.4.) მოხოვნები შესაბამისობაშია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით. სკოლაში ვიზიტისას დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფიის - მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

**ინდიკატორის (1.1.1.5.) მოხოვნები შესაბამისობაშია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 4 აგვისტოს ბრძანებით N84/ნ ,, სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლისათვის სიკო დოლიძის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია: სსიპ სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის (1.1.1.6.) მოხოვნები შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- პუბლიკაციები სოციალურ მედიაში
- Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (2024, 05 სექტემბერი, ბრძანება N 42), რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სისტემურობასა და ანგარიშვალდებულებას. დოკუმენტი განსაზღვრავს მისიის, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს, რაც მოითხოვს SWOT ანალიზს და სასკოლო საზოგადოების სრულ ჩართულობას (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები). დოკუმენტის მე-10 მუხლის შესაბამისად სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამზადების მონიტორინგის ჯგუფი საკუთარ ანგარიშს. **სკოლას ასევე მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზვროს სამუშაო ჯგუფის დაკვირვების ან მტკიცებულებების შესწავლის ინდიკატორები. წარმოდგენილი დოკუმენტის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზვრავს, რომ მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ავსებს ,,ქვემოთ მოცემულ ცხრილს", თუმცა დოკუმენტის შესწავლისას დადგინდა, რომ მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული ანგარიშგების რაიმე მექანიზმი ცხრილის

სახით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ წარმოდგენილი მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაურთოს მონიტორინგის ანგარიშის ცხრილი.
**ინდიკატორის (1.2.1.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N 3 ) დამტკიცებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი (2025 - 2032წწ). სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს და მიზნის მიღწევის გზებს. სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ობიექტურ რეაგირებას SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილ სუსტ მხარეებზე, რაც ადასტურებს გეგმის რეალობასა და საჭიროებებთან შესაბამისობას. კერძოდ, სუსტ მხარეებში აღნიშნული ინფრასტრუქტურისა და მატერიალური ბაზის საკითხები. დოკუნენტის შესწავლისას დადგინდა, დოკუმენტში ფორმულირებულია შესრულებული/განხორციელებული ამოცანები. მაგალითად; ,,დაწყებით საფეხურზე დიაგნოსტიკურ ტესტირებაში მოსწავლეთა 50%-ზე მეტი აღწევს მინიმუმ 65%-იან შედეგს. სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულია მინიმუმ 8 კლასის საათი ..შექმნილია კათედრებს შორის თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტები (შეხვედრის ოქმები, კომპლექსური დავალებები , კურიკულუმები. ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, მასწავლებელთა რეფლექსიები (სულ 200 დოკუმენტი)“ **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ გაწეროს დაგეგმილი/განსაზღვრული მიზნები და მიზნის შესაბამისი აქტივობები. სტრატეგიულ გეგმაში არ არის გაწერილი სტრატეგიული მიზნის შესრულების კალენდარი/პერიოდი და არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია მისიასთან, ხედვასთან და

ღირებულებებთან, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიულ გეგმაში გაწეროს, სტრატეგიული მიზნების შესრულების ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და მითითებული ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება პრობლემასთან შესაბამისობაში.

**ინდიკატორის (1.2.1.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2025 -2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. სკოლამ ვერ წარმოადგინა ოქმი, რომლითაც ერთწლიანი სამოქმედო გეგმა იყო შეთანხმებული და განხილული პედაგოგიური საბჭოსთან. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სექტემბრის დასაწყისში პედსაბჭოს პირველ სხდომაზე განიხილოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დოკუმენტურად ასახოს, რომელი სხდომის ოქმით შემუშავდა და დადმკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ( 2025 – 2026 წ.) გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.

**ინდიკატორის (1.2.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. დოკუმენტში წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამოირჩევა დეტალიზაციითა და მართვადობით. თითოეული ამოცანა ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად, რომლებსაც მკაფიოდ აქვს განსაზღვრული პასუხისმგებელი

პირები, ვადები და საჭირო რესურსები. ასევე, დადგენილია შესრულების ინდიკატორები, რაც მიღწევების გაზომვადობას უზრუნველყოფს.

**ინდიკატორის (1.2.1.3.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- სტრატეგიული დაგეგმვის განვითარებისა მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება(ბრძ.#42/05/09/2024)

## 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-10 მუხლი, სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. დოკუმენტში მკაფიოდ არ იკითხება, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამზადების მონიტორინგის ჯგუფი საკუთარ ანგარიშს. **სკოლას მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის დაკვირვების ან მტკიცებულებების შესწავლის ინდიკატორები. წარმოდგენილი დოკუმენტის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ავსებს ,,ქვემოთ მოცემულ ცხრილს", თუმცა დოკუმენტის შესწავლისას დადგინდა, რომ მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული ანგარიშგების რაიმე მექანიზმი ცხრილის სახით. სკოლას მიეცა რჩევა, რომ წარმოდგენილი მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაურთოს მონიტორინგის ანგარიშის

ცხრილი. დოკუმენტის თანახმად, წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

**ინდიკატორის (1.2.2.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დგინდება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. მეთოდოლოგიის შესაბამისა, სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ანხორციელებს დირექტორის მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის საქმიანობის საფუძველზე. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სამუშაო ჯგუფი, რომელიც სასწავლო ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებაზე მუშაობს, თუმცა ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შეფასებას ახორციელებს, სკოლაში არ დასტურდება. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

**ინდიკატორის (1.2.2.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის მიხედვით, ანგარიშის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს წარუდგენს სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოს. გარდა ამისა, ერთწლიანი (2025–2026 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საჯაროობის უზრუნველსაყოფად თავსდება სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მზაობა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის, მოახდინოს დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში.

**ინდიკატორის (1.2.2.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესულების შედეგების ანალიზის ფორმა, რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს შეაფასებს და შემდგომი ანგარიშით წარდგება პედსაბჭოს წინაშე.
**ინდიკატორის (1.2.2.4.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;

- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმიმწარმოებელი ( 1 ), ბიბლიოთეკარი (1) ექიმი ( 1) , დარაჯი-( 2 ) ; დამლაგებელი-(2 ), სპეციალური მასწავლებელი -( 1) , სსსმ ასისტენტი-(1), ცეცხლფარეში- (1 ). სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2024 წლის 09 სექტემბერი, N 49 ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“, და თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლთა მიხედვითაც , დადგენილია მათი ფუნქცია-მოვალეობები

**ინდიკატორის (3.1.1.1) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ( ბრძანება N 10, 29.01.2026 წ.) და ,,თანამდებობრივი ინსტრუქციები“ განსაღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნულ დოკუმენტში არის გაწერილი წახალისების მექანიზმები, მადლობა. სკოლაში ვიზიტის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის, როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები რეგულირდება წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ფუნქციები ისეა გადანაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

**ინდიკატორის (3.1.1.2) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის შენაგანაწესი
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტები; თანამდებობრივი ინსტრუქციების განსაზღვრის შესახებ და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N 10 (29.01.2026 წ.) ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში მის როლს და პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს. შინაგანაწესი მოიცავს სამუშაო პროცესის რეგულირების ყველა მნიშვნელოვან საკითხს: სამუშაო დღის განრიგს, დასვენებისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, ანაზღაურების წესებს, შვებულებასთან დაკავშირებულ პირობებს, შრომითი უსაფრთხოების სტანდარტებს, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმებს, მატერიალური პასუხისმგებლობის წესებს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების ნორმებს, ჩაცმულობის წესს და შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტები ერთობლივად უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის გამართულ, გამჭვირვალე და სამართლებრივად დაცულ სისტემას
**ინდიკატორის (3.1.2.1) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს, როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს. სკოლა საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. სკოლის შინაგანაწესის თანახმად ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან

ერთად ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს და ცნობებს ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე) და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების და გადაცდომის და დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს.

**ინდიკატორის (3.1.2.2) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევისას სკოლას აქვს კანდიდატისადმი დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. თანამშრომელთა შერჩევის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. პერსონალის შერჩევა ხდება შიდა ან ღია კონკურსის წესით, გარდა სპეციალური მასწავლებლისა რომელიც პირდაპირ ღია კონკურსს გადის. შიდა კონკურსის შემთხვევაში არსებული ვაკანტური პოზიცია ივსება სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების საშუალებით. გარე კონკურსის შემთხვევაში კი სკოლა ვაკანტური პოზიციის განაცხადს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად აქვეყნებს საჯაროდ http:teachersjobs.ge -ზე და განცხადებების მიღების ვადად განისაზღვრება 5 (ხუთი) კალენდარული დღე. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის მიერ იქმნება შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია მინიმუმ ხუთი წევრისგან. მათ შორის: განათლების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. კომისიის წევრების კენჭისყრა ხდება ფარულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად. შედეგები აისახება სხდომის ოქმში. სკოლა ასევე ქმნის საპრეტენზიო კომისიას (დირექტორის ბრძანებით) კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით. სკოლაში დაცულია 2020 წლიდან დღემდე მიღებული ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი.

საკონკურსო დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესში სკოლა იცავს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს.
**ინდიკატორის (3.1.2.3) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის დოკუმენტაციისა და EMIS-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია, როგორც სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმებულია 24 პედაგოგი, მათ შორის ერთი მენტორი, სამი წამყვანი და ოცი უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი. თითოეულის პირადი საქმე მოიცავს პროფესიული სტატუსისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ასევე ცნობებს პროფესიული განვითარების კურსებსა და ტრენინგებში მონაწილეობაზე. დამატებით, პირად საქმეებში წარმოდგენილია ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ თანამშრომლებს არ აქვთ ნასამართლეობა და მათ მიმართ არ ფიქსირდება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები. საერთო ჯამში, შესწავლილი მასალები მიუთითებს, რომ სკოლის მიერ პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი სრულად შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიულად კვალიფიციური და სანდო კადრების არსებობას.
**ინდიკატორის (3.1.2.4) მოხოვნები შესაბამისობაშია**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კულტურა მკაფიოდ ჩამოყალიბებულია. პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის სხდომები ტარდება რეგულარულად, რასაც ადასტურებს ყველა შესაბამისი ოქმი. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შეხვედრებზე განიხილება როგორც საგნობრივი და სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მიმართულებები. სხდომებზე მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილებები, იგეგმება მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების ნაბიჯები და ხდება პასუხისმგებლობების

გადანაწილება. მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ისინი ერთმანეთის საქმიანობას აქტიურად ეცნობიან და ცვლიან პროფესიულ ხედვებს, რაც ხელს უწყობს გაკვეთილის უკეთ დაგეგმვასა და სწავლების მეთოდების დახვეწას. მათი თქმით, ერთმანეთთან ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება ქმნის მხარდამჭერ სამუშაო გარემოს და ზრდის სწავლების ხარისხს.

**ინდიკატორის (3.1.2.5) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში თანამშრომელთა წახალისების პროცედურები გაწერილია შრომის შინაგანაწესით, რომელშიც წარმოდგენილია წახალისების სხვადასხვა ფორმა - მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფულადი წახალისება და სხვა მხარდაჭერის მექანიზმები. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების შეფასებისა და მათი მოტივაციის ზრდისკენ. დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს თანამშრომელთა მიღწევების საჯარო დაფასების პრაქტიკას.

**ინდიკატორის (3.1.2.6) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულება
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი= გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eschool ბაზის მონაცემები;

- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N 10. 29.01.2026 წ.) რომლითაც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-13 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი ( დირექტორის მ/შ ბრძანება N 26. 02 თებერვალი, 2026 წ. ) რომლის მე-6 მუხლი ადგენს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა პროცესს. წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი იყო მე-10 მუხლის 1 პუნქტის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ,,შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს“ ბუნდოვანია, რომელი სამსახური იგულისხმება ამ ტერმინში. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ გულისხმობდა შეფასების ჯგუფს. **სკოლას მიეცა რჩევა,** გადახედოს და

შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტთან, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციის დირექტორი ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი ადგენს დასკვნის პროექტს და არა ,,სამსახური''.
**ინდიკატორის (3.2.1.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტებით ( ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკა) და სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა პერსონალის საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე დგინდება, რომ სკოლა პერსონალის განვითარებას ახორციელებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და ურთიერთდასწრების საფუძველზე. ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ პერსონალის საჭიროებებს განიხილავენ ინდივიდუალურად, პედაგოგებისაგან და სხვა თანამშრომლებისაგან ღებულობენ საჭიროებების შესახებ ინფომრაციას და გეგმავენ შესაბამის რელევანტურ ინტერვენციებს, აქტივობებს, რაც გამოიხატა კონკრეტული ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებით. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი სერთიფიკატებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგი, ვორქ-შოფები, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია.
**ინდიკატორის (3.2.1.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩართულობა დადასტურებულია პირადი საქმეებით, სადაც ინახება შესაბამისი სერთიფიკატები გავლილი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს სისტემატურად ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგებში.
**ინდიკატორის (3.2.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დოკუმენტის თანახმად სკოლა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს სხავდასხვა ღონისძიებებს: სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე, თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. კათედრის წევრები არიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ერთმანეთთან. სკოლაში იგრძნობა კოლეგიალური სამუშაო გარემო, რითაც შეგვლიძლია დავასკვნათ, რომ ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არ გაუჭირდება. ახალი თანამშრომლის მიღებასთან და მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები ასევე გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში.

**ინდიკატორის (3.2.1.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტებში (შინაგანაწესში, პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში) დეტალურადაა გაწერილი წახალისების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციასა და საქმიანობის სისტემურ წარმართვას. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით სკოლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ადამიანური რესურსის განვითარებაა. ამ მიზნის განხორციელების მიზნით სკოლაში ორგანიზებულია ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და სხვა პროფესიული განვითარების აქტივობები, რომლებიც თანამშრომელთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს არის მოეგებული. პირადი საქმეებისა და სერტიფიკატების მიხედვით დადასტურებულია, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს თანამშრომელთა ჩართულობას მათთვის მნიშვნელოვანი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

**ინდიკატორის (3.2.1.5.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიმი დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კვლევისა და მონაცემთა შეგროვების ჯგუფის ბრძანება
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები
- მასწავლებელთა სიგელები/სერტიფიკატები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N 26, 02 თებერვალი, 2026 წ), რომელიც ადგენს ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს, მექანიზმებსა და პროცესებს, უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის სისტემურ კონტროლსა და ეფექტურ მართვას. თუმცა შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას არ ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის საფუძველზე შექმნას მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც უზრუნვეოყოფს სკოლაში სწავლების ხარისხის განვითარებასა და პროფესიულ მხარდაჭერას.
**ინდიკატორის (3.3.1.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა ორგანიზაციული პროცესების მართვას ახორციელებს შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ მართვას.
სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები დეტალურადაა ასახული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელშიც განსაზღვრულია მმართველობითი ფუნქციები, დირექტორისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება. შინაგანაწესშიც გაწერილია საკადრო პროცესები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომელთა წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე მასწავლებლისა და დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.
**ინდიკატორის (3.3.1.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. ( დირექტორის მ/შ ბრძანება N 48, 09 სექტემბერი, 2024 წელი) სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინარული გადაცდომების სახეობები. ( მუხლი 14, მუხლი 15 ) შესაბამისად, გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული-დისციპლინური კომიტეტი. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანებით ( N 37. 09 თებერვალი, 2025 წელი ) დამტკიცებული სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება, რომლის მიხედვითაც რეგულირდება დისციპლინური კომიტეტის უფლება-მოვალეობები. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით) და მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); საჭიროებების შემთხვევაში სკოლაში შეიქმნება სააპელაციო კომისია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.
**ინდიკატორის (3.3.1.3.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

### 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, ( ბრძანება N 36, 09 თებერვალი, 2026 წ.) სკოლაში პერსონალის, მშობლებისა და კანონიერ წარმომადგენლების უფლებების დაცვა დოკუმენტურად უზრუნველყოფილია შინაგანაწესით, თანამშრომლების შრომით ხელშეკრულებებითა და მოსწავლეთა მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებების დაცვას და შესაძლო დარღვევების სამართლებრივად მართვას. მათ შორისაა თითოეული მხარის პასუხისმგებლობა, რეაგირების ვადები, ფორმალური კომუნიკაციის საშუალებები და შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს

უწყობს სკოლის შიდა დემოკრატიული მმართველობის განვითარებას, თანამშრომლობის გარემოს შენარჩუნებას და ნდობის გაძლიერებას ადმინისტრაციასა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლებს შორის.

**ინდიკატორის (3.3.1.4.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
- ბრძანება ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ მშობლებთან კომუნიკაციისთვის სკოლა წარმატებით იყენებს სხვადასხვა ელექტრონულ არხს: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელებს, დახურულ ონლაინ ჯგუფებსა და Teams-ის პლატფორმას. დამატებით, ინფორმაციის გაცემა ხორციელდება მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ, დროულ და ხელმისაწვდომ კომუნიკაციას. სკოლის თანამშრომლების ინფორმირებისთვის გამოიყენება ასევე მრავალმხრივი კომუნიკაციის სისტემა. პერსონალს ეძლევა ინფორმაცია, როგორც ოფიციალური ბრძანებებითა და სასკოლო დოკუმენტებით, ასევე შიდა ელექტრონული არხებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას, პროცესებში და საერთო ინფორმაციული ერთიანობის დაცვას. ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ სკოლაში არ არის დოკუმენტურად დაფიქსირებული სისტემური მექანიზმი მიღებული უკუკავშირის აღრიცხვასა და რეაგირებაზე. ამიტომ **სკოლას მიეცა რჩევა:** საზოგადოებასთან ეფქტიანი კომუნიკაცისათვის შეიმუშავოს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი", რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უკუკავშირის მიღება და გაანალიზება. დაწესებულებისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური.

**ინდიკატორის (3.3.2.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტები ( კათედრების სხდომის, სამეურვეო საბჭოს, პედ.საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმებით) და ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის მართვის შიდა სისტემა დაფუძნებულია კოლეგიურ ორგანოებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მართვას. ამ ორგანოებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგნობრივ კათედრებს, სადაც სხვადასხვა მიმართულების მასწავლებლები ერთიანდებიან საერთო მიზნების ირგვლივ. კათედრები პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე, პროგრამების შინაარსობრივ სრულყოფასა და სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. სკოლის უმაღლესი არჩევითი ორგანოა სამეურვო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიცაა სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) და რომელიც განიხილავს და/ან ითანხმებს და/ან ამტკიცებს სკოლის მმართველობით საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს. დისციპლინურ გადაცდომებთან

მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ასევე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) არის დაკომპლექტებული. მოსწავლეთა თვითმმართველობას - მოსწავლეთა არჩევით ორგანოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში შესაბამისად მოსწავლეების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია, სკოლაში მოქმედი კათედრები და პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მის პასუხისმგებლობის სფროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.
**ინდიკატორის (3.3.2.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- კათედრის დებულება
- პედსაბჭოს პირველი სხდომის N 1 ოქმი
- N 26 პედსაბჭოს ბოლო სხდომის ოქმი
- პედსაბჭოს დებულება
- სადამრიგებლო დებულება

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ-ს მიერ ბრძანებიდ დამტკიცებული დოკუმენტი - უსაფრთხოებისა და სოზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ. ( ბრძანება N 47. 24.02.2026 წ.) სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი - (ბრძანება N 48, 6 სექტემბერი, 2023 წ.) რომელიც სასკოლო პერიმეტრის უსაფრთხოებაზეც არის პასუხისმგებელი. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. (8 ვიდეო-კამერა) აღსანიშნავია, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონიტორი განთავსებული იყო სკოლის დირექტორის კაბინეტში. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ( მიწერილობა - MES 1 26 0000129673 ) გეგმა დამტკიცებულია დირექტორის მ/შ ბრძანებით ( ბრძანება N 35, 03 თებერვალი, 2026 წ.) სკოლაში სართულებზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, ცეცხლმაქრები, მიმანიშნებელი ნიშნები.

სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ დასკვნა. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა წერილი (MES 0 26 0000198117, 20 თებერვალი, 2026 წელი) რომლითაც მიმართა შესაბამის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ( N 418924, 06.02.2026 წ.) სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას მოპოვებული აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების, მდგრადობის გეგმის შესახებ დაკვნა. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დასკვნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ, (23.01.2026 წ. - MES 9 26 0000061117 ) რომლის საფუძველზეც სკოლას მოპოვებული აქვს შესაბამისი დასკვნა, ( N 002210626) რომლის თანახმადაც სკოლის მდგრადობა დამაკმაყოფილებელია.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. **ინდიკატორის 3.4.1.1. მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომლის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი მოხმარების მედიკამენტები. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. მოცემულ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ( აქ ვნახოთ ეს წესი და ბრძანება )

სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ." (ბრძნება N 30, 02.02.2026 წ.) სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ( 01-14/29.

15 იანვარი, 2024 წელი) მისი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სამედიცინო კაბინეტის ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით ნაწილობრივ არის ნაწარმოები გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აწარმოოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, შეიძინოს სამედიცინო ოთახისთვის გათვალისწინებული შირმა. სამედიცინო კაბინეტში არის დამონტაჟებული ონკანი.

**ინდიკატორის 3.4.1.2. მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი ჰყავს დანიშნული ბრძანებით, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს პასუხისმგებელი მორიგე. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის დამრიგებლის მიერ კლასის საათზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი მორიგე მასწავლებელბის და სკოლის დარაჯი. სკოლაში შექმნილია მორიგეობის განრიგი, მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებაზე დერეფნებში და ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს, დამრიგებელი დილით აკონტროლებს და აღწერს დაგვიანებულ მოსწავლეებს, უკავშირდება მოსწავლის ოჯახს, ადგენს გაცდენის მიზეზს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.
**ინდიკატორის 3.4.1.3. მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორი მ/შ-ს ბრძანებით დამტკიცებული ( ბრძანება N 12, 27 მარტი, 2024 წ. ) ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირსაც ( დირექტორის მ/შემსრულებელი), რომელიც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, ჩართული არიან პროცესში სპეციალური მასწავლებლები, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე, რაც ხელს უწყობს თვითდისციპლინის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ფართო ეზო, სპორტული მოედანი და მოსახერხებელი, განათებული კორიდორები, დამატებით უწყობს ხელს მოსწავლეთა სოციალურ ჩართულობას, ურთიერთობის კულტურის განვითარებას და პოზიტიური, ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

**ინდიკატორის (3.4.1.4) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. სველი წერტილები ადაპტირებულია, ცალკე ვაჟებისა და გოგონებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე.

**ინდიკატორის (3.4.1.5) მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (ბრძნება N 42, 19 თებერვალი, 2026 წ.) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებსა და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. სისტემატურად მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელებისათვის. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებული ბრძანება პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ( ბრძანება N 69, 20 აპრილი, 2026 წ. ) ვიზიტის **პროცესში დადასტურდა, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორი განთავსებული იყო სკოლის დირექოტორის კაბინეტში, რაც არ შეესაბამება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობას.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის 13 მაისი. - 2027 წლის 13 მაისი**
**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე**

**ინდიკატორი 3.4.1.6. შეფასდა, როგორც მეტწილად შეესაბამება.**

### 7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ვიზიტის დროს ძირითადი დოკუმენტები და პერსონალური ინფორმაცია ინახებოდა ბიბლიოთეკაში. ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ვიზიტის შემდგომ აღნიშნულ დოკუმენტებს გადაიტანენ დირექტორის კაბინეტში განსაზღვრულ ადგილას. პერსონალურ ინფორმაციასთან წვდომა აქვს მხოლოდ დირექტორს და დირექტორის ბრძნებით განსაზღვრულ პირს. ( საქმისმწარმოებელს) მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. კარადა იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება პასუხისმგებელ პირთან. დაარქივებულ დოკუმენტები ინახება არქივში.

**ინდიკატორის (3.4.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის მრჩეველთა საბჭო პასუხისმგებელია უსაფრთხოების მართვის სისტემური გაუმჯობესების პროცესზე. საბჭოში ჩართულია ადმინისტრაციული და პედაგოგიური სტრუქტურების ყველა ძირითადი რგოლი, რაც ამყარებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას. მორიგეობის და მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს ინციდენტების ალბათობას და აუმჯობესებს კონტროლის ხარისხს.

**ინდიკატორის (3.4.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;

- ექიმთან გაფორმებული ხელშკრულება;
- შესაბამიოსობის უზრუნველყოფის გეგმა
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები(დირექტორის ბრზანება 70(05.10.2023
- შენობა–ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვალს # 129673 მიართვა ,
- შენობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან 2026 წლის 23 იანვრის # 61117 მიმართვა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ ( საკატასტრო კოდი - N 28.06.24.012 ) მიწის საერთო ფართი შეადგენს 5591 კვ.მეტრს. წარმოდგენილ ამონაწერში ფიქსირდება ორი შენობა-ნაგებობა, თუმცა რეალურად კი სკოლას აქვს ერთი შენობა ( ორი შენობა-ნაგებობა მიშენებით არის ერთ სახურავში. შესაბამისად ერთ შენობაზეა შეთანხმებული საგანგებო გეგმა და შენობის მდგრადობის დასკვნა ) **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი გასწორდეს რეალურ

მოცემულობასთან. ფაქტობრივად სსიპ- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს 1 შენობაში, რომელიც მდებარეობს სოფელ ჩოხატაურში. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა. მოწესრიგებულია სკოლის ეზო. სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. სკოლის შენობა ორსართულიანია. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო თუ შემეცნებით აქტივობებში ჩართვა, შესვენებაზე კი სრულფასოვანი დასვენება. სასწავლო შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები; პირველ სართულზე 6 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის ( მათ შორის ადაპტირებული ), დახურული სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, რესურს-ოთახი, ექიმის კაბინეტი და დარაჯის ოთახი. აღსანიშნავია, რომ დახურული დარბაზი საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლის ეზოში გათვალისწინებულია ღია სპორტული მოედანი, დამაგრებულია კალათბურთის ფარის სადგამი, თუმცა მოედანი არ არის მოწესრიგებული. მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, 6 საკლასო ოთახი. სკოლაში არ არის გათბობის ცენტრალური სისტემა. ყველა საკლასო ოთახებში დადგმულია ღუმელი. სკოლის ეზო შემოღობილი და დაცულია.

**ინდიკატორი 3.5.1.1. შეფასდა როგორც „ შეესაბამება“**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ლაბორატორიით სარგებლობის წესი, ( დირექტორის მ/შ-ს ბრძანება N 31, 02.02.2026 წ. ) რომელიც ადასტურებს, რომ ლაბორატორია საერთო სარგებლობის სივრცეა და ლაბორატორიაში განთავსებული რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, შემოღობილი ეზო) . ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (სააქტო დარბაზი) . ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. თუმცა ვიზუალური დათვალიერების დროს დადგინდა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სარგებლობის წესები არ იყო გამოკრული არც ლაბორატორიაში და არც ბიბლიოთეკაში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი გამოაკრას შესაბამის სივრცეებში.

**ინდიკატორი 3.5.1.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის მე-2 სართულზე ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები,), რომლებიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ( N 28, 02 თებერვალი, 2026 წ.) სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესსა და პირობებს.
ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. **სკოლას მიეცა რჩევა** ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში ნაწილობრივ შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, **თუმცა სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსი, რამაც შესაძლოა მომავალში შეზღუდოს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება, ამასთან საბუნებისმეტყველო/კომპიუტერული ლაბორატორი, სააქტო დაბრბაზი განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე, შესაბამისად ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. სკოლას ჰყავს 4 სსსმ მოსწავლა.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის 13 მაისი. - 2027 წლის 13 მაისი**
**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე,**

**ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასდა, როგორც მეტწილად შეესაბამება.**

.

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ სააქტო დარბაზი, დაცული ეზო, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, პროექტორითა და ეკრანით. მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა სტაციონარული და პერსონალური კომპიუტერის სახით. თუმცა ვიზუალური დათვალიერებით, დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის კომპიუტერული ტექნიკა საჭიროებს განახლებას.

**ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 ფინანსური ანგარიშები ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები

2 ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

3. ლაბორატორიებით სარგებლობის წესი

4. ამონაწერი რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის ბალანსზე ირიცხება 9 ერთეული სტაციონარული კომპიუტერი, 8 ერთეული ლეპტოპი, პრინტერი, 3 ერთეული პროექტორი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას. გაკვეთილებზე და საზიარო სივრცეებში - ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია - მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ნაწილობრივ აქვთ უზრუნველყოფილი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალება. თუმცა ვიზუალური დათვალიერებით, სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა საჭიროებს შევსებასა და განახლებას. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ განაახლოს და გაზარდოს ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა მოხდეს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა.** სკოლას არა აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტი.

**ინდიკატორი 3.6.1.1.შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც დაადგენს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების მკაფიო წესს.

**ინდიკატორი 3.6.1.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული განვითარების გეგა
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით ( N 29 დეკემბერი, 02 თებერვალი, 2026 წელი) დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. სკოლის მიერ შემუშავებული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებსა და ტიპებს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესს. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow”) სისტემის საშუალებით, საქმისწარმოება მოიცავს ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
**ინდიკატორი 3.6.2.1. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. სკოლას აქვს ელექტრონული მაილი choAmaghleba@mes.gov.ge სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პესონალური მონაცემები. სკოლა იყენებს Office 365 -ის ღრუბლოვან სივრცეს, სადაც ტვირთავს ყველა საჭირო დოკუმენტაციას.

**ინდიკატორი 3.6.2.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

**3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. იგი წარმოადგენს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ ინფორმაციას, რომლის დამუშავება ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლების მიერ. სისტემაში ასახულია სკოლის, საგანმანათლებლო პროგრამების, სისტემაში ელექტრონულად მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

**ინდიკატორი 3.6.2.3. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. სკოლას აღნიშნული პროცესები აღწერილი/დარეგულირებული აქვს შიდა აქტებით, საქმისწარმოების წესში განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.

**ინდიკატორი 3.6.2.4. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს სრულყოფილი და მოქმედი ვებ-გვერდი რომელიც რეალურად ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია. საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს, დახურული ჯგუფებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია სასკოლო საზოგადოებასან ინფორმაციის დროული მიწოდება. სკოლა ასევე იყენებს Teams-ის პლატპორმას, სკოლის განახლებადია. სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლის და საგნის პედაგოგების მხრიდან აქტიურად ხდება ღონისძიიებების, საგაკვეთილო პროცესების, არაფორმალური განათლების( ექსკურსია,ლაშქრობები) ამსახველი ფოტო მასალების .
**ინდიკატორი 3.6.3.1 შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   ადმინისტრაციის განმარტებით საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. **ინდიკატორი 3.6.3.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს; ელექტრონულ პლატფორმებსა და პირისპირ შეხვედრებს. (ელექტრონული ფოსტა, სოციალურიქსელი, დახურული ჯგუფები, teams-ისპლატფორმა), საქმისმწარმებელი განმარტავს, რომ სკოლის ადმინისტრაცია აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და კონკრეტულ შემთხვევებში ხდება ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირება დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით.

**ინდიკატორი 3.6.3.3. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ვიზიტის პროცესში სკოლის ვებ-გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას. გვერდზე სახელმწიფო ენაზე არის განთავსებული სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისი მასალები/მტკიცებულებები.

**ინდიკატორი 3.6.3.4. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

**ინდიკატორი 3.6.3.5. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ვებ-გვერდი;
მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
სკოლის ელექტრონული ფოსტა;
ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N , 8 სექტმბერი,
სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/ -ზე ;
სკოლის სოციალური ქსელი
ელექტრონული ფოსტა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (05.12.2025 წ.), რომელიც ეხება სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებას. 2026 წლის ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს  დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. ( სკოლამ მტკიცებუოლებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4, 05 დეკემბერი, 2025 წ. )
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესში ნათლადაა გაწერილი თითოეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და უზრუნველყოფს ამ ულებების დაცვას. შინაგანაწესი ეფუძნება მოსწავლის ქცევის კოდექსს, რომელიც ხელს უწყობს სწავლისათვის ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ღირებულებების ჩამოყალიბებას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული წესით, კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა უფლებები, მოსაზრებები და ინტერესები ყოველთვის გათვალისწინებული და მხარდაჭერილია. შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების გარანტიებს. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს, განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმებს, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს; სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი შეზღუდვის საფუძვლებს; მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და ტექნიკური პერსონალის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებებს, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის დაცვასა და ანაზღაურების წესს;

სამუშაო დროის ხანგრძლივობას, შესვენებისა და დასვენების დროს, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავ ჩამონათვალს, ეთიკის ნორმებს, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, წახალისებისა და სანქციების გამოყენების პრინციპებს. სკოლამ წარმოადგინა საჩივრებისა და განხილვის განცხადების წესი - ( ბრძანება N 48, 09 სექტემბერი, 2024 წელი) სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,მოსწავცვლეთა ადაპტაციის წესი. ( ბრძანება N 58, 12 სექმტებერი, 2023 წ )

**ინდიკატორი 4.1.1.1. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში, ყველასთვის ხელმისაწვდომ სივრცეში. კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლაში ახლადგადმოსულ მოსწავლეებს და მათ მშობლებს შინაგანაწესსა და სხვა შიდასასკოლო ნორმატიულ აქტებს, პერიოდულად უტარებენ საუბრებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის თემაზე. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები ატარებენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ მშობლებს შინაგანაწესს, სკოლასა და მშობლებს შორის იდება ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. იმისათვის, რომ მშობელი იყოს დროულად ინფორმირებული მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ, დამრიგებელი და თითოეული საგნის მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა ყოველდღიური გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგს. მშობლის ინფორმირება ხორციელდება მასწავლებლის/დამრიგებლის/დირექციის მხრიდან პირისპირ ან სოციალური ქსელის დახმარებით. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გასაჩივრების მექანიზმი - დისციპლინარული კომიტეტი.

**ინდიკატორი 4.1.1.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც არის გამჭვირვალე; დაზუსტებულია მშობლის/მოსწავლის/სკოლის უფლებები და ვალდებულებები. გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

**ინდიკატორი 4.1.1.3. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამრიგებლობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით

შემუშავებული აქვს ( ბრძანება N 48, 09 სექტემბერი, 2024 წელი) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სკოლა ძირითადად მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა; მოსწავლეთა მობილობა; საფეხურის დაძლევა. მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებით დგინდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, რაც არ მოდის შესაბამისობაში ,, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან ( ბრძანება N 71, 5 ოქტომბერი, 2023 წ).

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლებისა და საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების

საშუალებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ მეურვეებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე, ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით.

**ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- სკოლის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელი;
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;

- მშობელთა კრებების ამსახველი მასალა
- კლუბის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. ( ბრძანება N 58, 12 სექტემბერი, 2023 წ. ) ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და ასევე, მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში („მოსწავლის ადაპტაციის წესი“) გათვალისწინებულია მოსწავლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის ფაქტორები. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს კომფორტული შექმნას, რაც ადაპტაციის წინა პირობაა. ყველა საკლასო ოთახში თუ კლას-კაბინეტში განთავსებულია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარი, საკლასო სივრცეები ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეს სრული წინა პირობა აქვს, ემოციურად მყუდრო გარემოში დაეუფლოს სხვადასხვა დისციპლინებს.
დაწესებულების მიერ დამტკიცებული „მოსწავლის ადაპტაციის წესი“ ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმაზომიერად იყენებს იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს -

კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.

სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ მოედნებსა და სააქტო დარბაზს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. სკოლაში მოქმედებს სამი კლუბი, ,,ნოემა“ - მკითხველთა კლუბი - ( ინგლისურენოვანი ) ,,აისი“ - სტემ-კლუბი, ,,იდეიდან მოქმედებამდე“ - სამოქალაქო კლუბი.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან გეგმაზომიერად იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და მიღებული უკუკავშირის კვლევის საფუძველზე ცდილობს მომსახურების გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

პროექტები -

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

ტრანზიციის დებულება; -

განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით ხშირად ატარებს სხვადასხვა აქტივობებს. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებთან ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. სკოლას შესაბამისი წესით გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯი ,,ჰორიზონტთან", ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასტან - პროგრამით - სკოლაში ბავშვთა საბჭოს ჩამოყალიბება დან მისი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება".**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა. სკოლას მიეცა რჩევა, რომ თვითმმართველობის ჩართულობით ან სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოახდინონ სასკოლო საზოგადოების ან ადგილობრივი თემის ინტერესების იდენტიფიცირება. ასევე შესაძლებელია კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით სკოლამ განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა .
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება"**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
სადამრიგებლო პროგრამა
კურიკულუმები დაწყებითი საბაზო და საშუალო

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 5 სსსმ მოსწავლე, სკოლამ ვერ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ითვლაისწინებს ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანების შედგენას. სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. ყველა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება,

რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, სიტუაციურად, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ისგ შემუვების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები - ( N 63, N 64, N65 – 3 ნოემბერი, 2025 წელი. ) **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდგეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 5 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სპეც მასწავლებლის სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის ოქმები.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით უზრუნველყოფას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი ტაბელები.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება, დირექტორის განმარტებით, მომავალში, ასეთის არსებობის  დშემთხვევაში, მიმართული იქნება მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად.

**ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი არასავალდებულო დამატებითი მომსახურება, რომელსაც სჭირდება კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვება.
**ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი N 55 მშობელთან ხელშეკრულების ნიმუშები
2. დანართი N 57 მშობელთან ურთიერთობის დებულება
3. დანართი N 30 სკოლის შინაგანაწესი
4. დანართი N 61 სასკოლო სასწავლი გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითის საგანმანათლებლო პროგრამა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ☐ **შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| | ☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია, როგორც კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებზე, ასევე, ამ პროცესებში ჩართულ მხარეებზე და პასუხისმგებელ პირებზე/სტრუქტურულ ერთეულებზე.

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერესების კვლევას პედაგოგები აკეთებენ სასწავლო წლის დასაწყისში, შემდეგ ხვდებიან კათედრებზე ერთმანეთს, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ შეგროვებულ ინფორმაციას და ხდება ამ ყველაფრის ასახვა საგნობრივ კურიკულუმებში. კურიკულუმს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს ითანხმებს სამეურვეო საბჭო, რომელშიც წარმომადგენელი ჰყავს როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომლებსაც ეძლევათ საშუალება აზრი გამოთქვან და გამოკვეთონ როგორც მოსწავლეების ასევე მშობლების ინტერესები. დოკუმენტს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. აღნიშნული პროცესები განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების გარკვეულწილად ჩართულობას.

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შედგენილი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულ პროცესებში ძირითადი პასუხისმგებელი პირები არიან კათედრის ხელმძღვანელები და მასწავლებლები, თუმცა კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული არიან, როგორც მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები.

**4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება ხდება, როგორც უშუალოდ საგნის პედაგოგების მხრიდან, ასევე, აღნიშნულ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული კლასის ხელმძღვანელები. კურიკულუმის გაზიარება მნიშვნელოვანი პროცესია, სკოლა იაზრებს, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა თუ რა სახის აქტივობები, თუ შემოქმედებითი ტიპის დავალებებია გათვალისწინებული თითოეული საგნის კურიკულუმში.

**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
დირექტორის ბრძანება N11 21 იანვარი. 2025 წელი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
კათედრების სხდომის ოქმები

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს.<br>როგორც საბაზო, ასევე, საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს.შუალედური სასწავლო მიზნების სახით ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რომლებიც გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრვი მეცნიერებებში შემავალი საგნების: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა და სამოქალაქო |

| | |
|---|---|
| | განათლება პროექტი, წარმოდგენილი კურიკულუმები, მოწოდებული დოკუმენტაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.<br><br>კურიკულუმები სრულად გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგემის შესაბამისად. ყველა სავალდებულო თემა და თითოეულ თემაში მუშავდება შესაბამისი საგნის ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმებში გაწერილია ქვეცნებები, საკითხთა ჩამონათვალი, შემოქმედებითი დავალება და შესაბამისი რესურსები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზას. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირებაზე. სასწავლო თემები და კომპლექსური შინაარსის დავალებები სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნებისა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კურიკულუმის განვითარების პროცესი არის დინამიკური, რაც დასტურდება პერიოდული რევიზიითა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი მასალების გაცნობისას ჩანს, რომ კათედრის მუშაობა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობას მისი პიროვნული განვითარების გზით. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, საგნების სპეციფიკა, შემოქმედებითი დავალებების შინაარსი მოითხოვს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც თავის მხრივ ავითარებს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარებს. მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობაც ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესში გამახვილებულია ყურადღება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, თავისუფალ არჩევანზე, საკუთარი აზრის გამოხატვისა და დასაბუთებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, |

| | |
|---|---|
| | რომ შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებითა და ონლაინ ბმულებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია მითითებული დავალებების, ხოლო სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. პროექტებში, შემაჯამებელ თუ კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქოემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებითა და საჭიროებებით.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებში, რომლებიც ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივ სტანდარტს და მიმართულია სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევაზე, გაწერილია ვალდებულება თუ როგორ აღიწერება მოსწავლის განვითარების გზა და რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, დაგეგმილია რა აქტივობები უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესში, რა დამატებით საქმიანობას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს, გაწერილია დავალების იდეა, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით რომ მიღწეულ იქნას დასახული მიზანი. ამ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივი |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმები, რითაც შესაძლებელია ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. იგივე დაადასტურეს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა და გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმებს ანალოგიური მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავებენ.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, შესაბამისი სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე. გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები... კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, თუმცა საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას .კურიკულუმი მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ.<br><br>კურიკულუმში გაწერილი შუალედური მიზნები იძლევა შესაძლებლობას შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის.<br><br>სკოლამ ვიზიტის შემდეგ წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მაგალითად: საგანებში შემოქმედებითი პროდუქტები შეფასების რუბრიკებით. რომლებმაც კიდევ უფრო ცხადყო თუ როგორ ახერხებენ მასწავლებლები მოკლევადიანი, საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი მიზნების დაკავშირებას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს მის სრულ თავსებადობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი კავშირი სასწავლო თემებსა და განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს შორის. თითოეული საგნობრივი კურიკულუმი |

| | |
|---|---|
| | ორიენტირებულია საფეხურებრივი შედეგების მიღწევაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის თანამიმდევრულ განვითარებას. შერჩეული რესურსები და მეთოდოლოგია ვალიდურია და ქმნის წინაპირობას იმისათვის, რომ მოსწავლემ მიაღწიოს სტანდარტით დადგენილ შედეგებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებით დავალებები. კურიკულუმი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, როგორც შუალედურს (შემოქმედებითი დავალებები), ასევე გრძელვადიანს (სამიცნე ცნებები, სტანდარტით განსაზღვრული შედეგები). თემატურ კონტექსტებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება ემსახურება მოსწავლეებში საგნობრივი კომპეტენციებისა და გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული შედეგები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები/საკითხთა კლასტერი, კონტექსტმაგალითები. შემოქმედებითი დავალებების იდეები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ტრანსფერში. გასაუბრებისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | კურიკულუმები შემუშავებულია სამიზნე ცნებები გრძელვადიანი მიზნების ორიენტირით, თემები, საკითხები და სწავლის შედეგები, რომელიც გამომდინარეობს ესგ-ის მათემატიკის საგნობრივ სტანდარტიდან და სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანეთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რომლის შესრულებაც უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს იმის საფუძველს რომ დავასკვნათ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებისაკენ. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად და მოიცავს ყველა სამიზნე ცნების დამუშავებას. კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმები დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების, სამიცნე ცნებები დაფარვისთის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება იმ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი ტიპის დავალება |

| | |
|---|---|
| | სადაც პროდუქტია შესაქმენლი, ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. თუმცა, უმეტეს წილად, მხოლოდ სახელმძღვანელოა.<br>საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში, ჩანს, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ონლაინ რესურსები, რომელსაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა აქტიურად იყენებენ პედაგოგები სწავლების პროცესში და საშინაო დავალებებში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დავასკვენი, რომ ასევე |

| | |
|---|---|
| | პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან ინტერნეტ საგანმანათლებლო რესურსებს, აუდიო და ვიდეო მასალებს.<br>**ინდიკატორი შესაბამება** |
| უცხოური ენები | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით, რაც ქმნის მყარ საფუძველს სწავლის შედეგების მისაღწევად. ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად, აქტიურად გამოიყენება დამხმარე ციფრული და მატერიალური რესურსები (საგანმანათლებლო პლატფორმები, ვიდეო მასალები, თვალსაჩინოებები).<br>**ინდიკატორი შესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე , სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი -ტელესკოლა, სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიო რესურსი, თვალსაჩინოება, პასუხობს სასწავლო მიზნებს და ემსახურება სასწავლო შედეგების მიღწევას. მუსიკაში, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება პროექტ “ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მოწოდებული აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები, საინტერესო და მრავალფეროვანი აუდიო და ვიდეო რესურსი, რომელიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სახელმძღვანელოს ტექსტების პარალელურად დამატებით ტექსტებთან ერთად მოცემულია ელექტრონული ბმულებიც. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებში ასახულია პარალელური ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, სახელმწიფო ენის |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, როგორიცაა ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დამხმარე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმაც გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსი კურიკულუმით განსაზღრულ მიზნების მიღწევის მიზნით, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. ასევე, სკოლას წარმოდგენილი აქვს პრაქტიკული (კომპლექსური) დავალებების მაგალითები, სადაც მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, შერჩეულია შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაფერისი ინსტრუმენტები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და რესურსებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე, გავეცანი რა ისგ-ე გეგმებსა შემოქმედებითი დავალების ნიმუშებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, დავასკვენი, რომ კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ითვალისწინებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დიფერენცირებული მიდგომებით სწავლებას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში მათი ინტელექტულაური თუ გონებრივი ინდივიდუალიზმის მიუხედავად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლა უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან განათლებაზე ყველა მოსწავლისთვის, მათი ინდივიდუალური საჭიროებების მიუხედავად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის შემუშავებულია და მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რომლებიც სრულად შეესაბამება მათ შესაძლებლობებსა და კურიკულუმის მიზნებს. მოსწავლეების საჭირფოებების განსაზღვრა ხდება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებით.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, ამასვე მოწმობს მუსიკისა და ხელოვნების საგნებში წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ორი მოსწავლის ინდ. გეგმა- მუსიკასა და ხელოვნებაში) ადაპტირებული აქტივობების და შემოქმედებითი დავალების პირობით.  შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივ კურიკულუმში შერჩეული თემები, საკითხები და შემოქმედებითი დავალებების შინაარსი, ასევე, თავად საგნების სპეციფიკა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | შესრულებულ დავალების ბარათებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ჩანს დიფერენცირებული  სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან, მასწავლებელთა რეფლექსიიდან და ურიერთდასწრების შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დიფერენცირებილი მიდგომებით  დაგეგმვა და  ამ მიდგომების გამოყენება ხდება სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუსას  მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას  სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს. მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, |

| | |
|---|---|
| | სწავლობენ და მოსწავლის ნამუშევარზე დაკვირვება–ანალიზის გზით ითვალისწინებენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნებს, უკვე არსებულ გამოცდილებებს. ამ პირობების გათვალისწინებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, აქვთ სსსმ მოსწავლეებტან მუსაობის გამოცდილება. აღნიშნეს რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და როგორ ახორციელებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას და შესაბამისად კურიკულუმების მოდიფიცირებას. დავალებებსაც მოსწავლეთა შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირებას უკეთებენ, აწარმოებენ დაკვირვებას შესაბამის მოსწავლეებზე, შესაბამისად აძლევენ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს. კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა რომ სწავლა- სწავლების პროცესი სკოლაში იყოს დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით ინკლუზიური.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | პედაგოგოგი იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებელი არეგულირებს ფიზიკურ დატვირთვას, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდის საგანში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. |

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, ყოველთვის ახდენს დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას საჭიროებიდან გამომდინარე და მათ შესასრულებლად აძლევს შესაბამისის დავალებებს და დროს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებითი საფეხურზე შეფასების სისტემა, ძირითადად, ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია.<br>საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები,როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასებისთვის, თუმცა საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგებმა საგნების მიხედვით წარმოადგინეს მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ფარგლებში შუალედური მიზნების შეფასების რუბრიკები, (განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც) რომლებიც ეროვნული სასწავლო მიზნის |

| | |
|---|---|
| | შედეგებზე და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. მოცემული რუბრიკები სკოლაში მასწავლებლების მიერაა შედგენილი, რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტულია და მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | დაწესებულებაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და არა მხოლოდ აკადემიური მიღწევის ფიქსაციაზე.შესწავლილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პედაგოგები იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ქვიზებს, თვითშეფასების სქემებსა და კონსტრუქციულ უკუკავშირს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ეფუძნება ესგ-ის სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასწავლებლები შეფასების შედეგებს იყენებენ სასწავლო პროცესის შემდგომი დაგეგმვისა და დიფერენცირებისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკისა და ხელოვნების საგნებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს თემა/საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების დამუშავების შემოწმებას. შემოქმედებითი დავალებებს ახლავს შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, აჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების პროცესი. განმავითარებელი კომენტარი ხელს უწყობს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება კათედრის შეხვედრებზე.ყოველი სემესტრის დასრულებისას, მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. თუმცა, სასურველია ამ მხრივ კათედრამ გააღრმავოს მუშაობა. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა საფეხურების მიხედვით: საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, სადიაგნოსტიკო ტესტები, შემაჯამებელი წერების ანალიზები, მასწავლებლის დაკვირვების სქემა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების სახით.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და ითვალისწინებს ესგ-ის მოთხოვნებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შეფასების სისტემა დაეფუძნოს ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდეს მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება მოსწავლეების ჩართულობა, ტაქტიკური და ტექნიკური მომზადება, კონკრეტული სპორტის სახეობებში ტექნიკური ელემენტების დაუფლების ხარისხი. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის |

| | |
|---|---|
| | გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას.<br><br>სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე.<br><br>შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დაწყებითი,საბაზო,საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
კურიკულუმის დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგია;
საბუნებისმეტყველო:სასკოლო კურიკულუმი;
შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები სხვადასხვა საგნებში;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
სასწავლო რესურსების ჩამონათვალი კურიკულუმში;
შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
მოსწავლის მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტის ფოტო მასალა;

პროექტის გეგმები;
სადიაგნისტიკო ტესტები;
რემედეაციის განხორციელების წესი;
სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება)

შემაჯამებელი დავალებები;

სხავადასხვა საგნის ისგ;

კათედრების სხდომის ოქმები;

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2025-2026;

სპეც მასწავლებლის სამოქმედო გეგმა;

თვითშეფასება მათემატიკა;

სასწავლო რესურსები სხვადასხვა საგანში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან.<br><br>საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი |

| | |
|---|---|
| | აქტივობები ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომებით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალი ყველა საგნის სწავლება ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი (საგნობრივი სტანდარტები, შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნამუშევარი თავისი შეფასებით) ითვალისწინებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | შესწავლილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და პედაგოგებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ მასწავლებლები მიჰყვებიან კურიკულუმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.<br><br>საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურადაა დაკავშირებული საკვანძო კითხვებთან და ორიენტირებულია კომპლექსური შინაარსის დავალებების შესრულებაზე. სკოლა იყენებს კურიკულუმს, როგორც სამუშაო დოკუმენტს, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი იყოს თანმიმდევრული და ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმში მითითებული თემების, საკითხების, სამიზნე ცნებების, შუალედური მიზნების, სასწავლო რესურსის გათვალისწინებით. სკოლის |

| | |
|---|---|
| | მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები- მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტის ფარგლებში შექმნილი დავალებები, შეფასების რუბრიკები, სასწავლო საგანმანათლებლო რესურსი, ყოველივე მოწმობს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებს და ამოცანებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული  კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით.  სწავლის შედეგები  მოცემულია სამიზნე ცნებების სახით.  კურიკულუმში ჩაშენებული დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას და განმტკიცებულია დამატებითი ელექტრონული ბმულებით. შემაჯამებელ სამუშაოებში, პროექტებში, შემოქმედებით პროდუქტსა და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქოემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება  ესგ-ის მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული  კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ, სასწავლო  პროცესში ამუშავებენ სამიზნე ცნებას და სტანდარტის შედეგების ორიენტირით.  კურიკულუმში გაწერილი აქტივობები, შემოქმედებითი ტიპის  დავალებების განხორციელებაც ადასტურებს, რომ  სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებებისა |

| | |
|---|---|
| | და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით და კურიკულუმის შესაბამისად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | სკოლაში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტენგენტიანია, მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას რაიონულ შეჯიბრებებში, აქვთ წარმატებები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, წარმოდგენილია რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმებშია გაწერილი. სადაც ყველა აქტივობა, გაკვეთილი და შეფასება დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესრულება და მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარება.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დირექტორის N 11 ბრძანებითაა დამტკიცებული. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პროცედურები, პროცესებში ჩართული მხარეები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.

**ინდიკატორი შეესაბამება**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიეს წარმოდგენილი შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით.<br>კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება  ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგებმა საგნების მიხედვით წარმოადგინეს მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ფარგლებში შუალედური მიზნების შეფასების რუბრიკები,(განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც) ასევე სადიაგნოსტიკო ტესტები და შემაჯამებელი წერის ანალიზის ნიმუშები, რომლებიც ეროვნული სასწავლო მიზნის შედეგებზე და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. მოცემული რუბრიკები სკოლაში მასწავლებლების მიერაა შედგენილი, რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტულია და მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | კათედრაზე ჩამოყალიბებულია შეფასების სისტემა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს. შესწავლილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია და პირდაპირ გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან.<br><br>სისტემის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს ის გარემოება, რომ დავალების მიცემისთანავე მოსწავლეებს წარედგინებათ შეფასების რუბრიკები, სადაც დეტალურად არის გაწერილი მოლოდინები სხვადასხვა დონისთვის. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან შეფასების პრინციპების შესახებ.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, კათედრის მიერ მოწიდებულია შეფასების ზოგადი რუბრიკები და ასევე, თემას-საკითხზე , სამიზნე ცნებებზე მორგებული რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმებით მოწმდება |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა საგნობრივი კომპეტენციები, ცოდნის კონსტრუირების პროცესი, რაც თავისთავად პასუხობს ვალიდური და სანდო შეფასების მოთხოვნებს. მოსწავლეებმა იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ცოდნა. ყველა კრიტერიუმს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. **ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ჰოლისტურ რუბრიკებს. შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს გააზრებული აქვთ დადებითად რომ შეფასდნენ, რა და როგორ უნდა გააკეთონ. **ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი. წარმოდგენილი რუბრიკები შეესაბამება მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებს, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, რაც აღნიშნეს და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. იგივეს ადასტურებს წარმოდგენილი რუბრიკებიც. **ინდიკატორი შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| სპორტი | შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი- განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების ფორმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ შესაძლებლობებს და ასახავს მათ მიღწევებსა და პროგრესს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას დირექტორის ბრძანებით N21(30.01.2026წ) ახალი დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,სკოლის შეფასების ვერიფიკაციის დებულება", რომლის მიხედვით, სკოლა შეფასების ვერიფიკაციის განხორციელებას აპირებს სამი მიმართულებით: 1. შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; 2. პროცესის ვერიფიკაცია; 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსთვის საკუთარი საქმიანობა წარმართოს ამ დოკუმენტში განსაზღვრული მექანიზმების საშუალებით.

**ინდიკატორი შეესაბამება**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

   სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებისა და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და მათ შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს და იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს, სადაც ინახება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები. რაც შეეხება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებს და შემოქმედებით პროდუქტებს, მათი შენახვა უზრუნველყოფილია საგნის მასწავლებლების მიერ.

   **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი კურიკულუმები;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები სხვადასხვა საგანში;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
მასწავლებლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
ურთიერთდასწრება და რეფლექსია;
2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე დოკუმენტაციის შესწავლით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ  დამხმარე რესურსებს (როგორც ელექტრონულს, ასევე მატერიალურს/თვალსაჩინოებებს). აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას, რაც უზრუნველყოფს საკითხების სიღრმისეულ გააზრებას.<br><br>თუმცა, წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზისას გამოჩნდა, რომ პრაქტიკაში გამოყენებული ეს მრავალფეროვანი რესურსები ნაკლებად არის დოკუმენტურად ასახული. კურიკულუმებში მითითებული რესურსების ჩამონათვალი მწირია და სრულად არ ასახავს იმ რეალურ მასალას, რომლითაც მასწავლებლები ოპერირებენ საგაკვეთილო პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) იყოს ცოცხალი დოკუმენტი და მასში აისახოს ის რეალური დამხმარე საშუალებები, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება.<br><br>რაც შეეხება სწავლების პროცესში გამოყენებულ ძირითად და  დამხმარე  სასწავლო რესურსს საგნობრივი კურიკულუმიდან გამომდინარე მიზნობრივად ჰქონდათ წარმოდგენილი.საგანში (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა)კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული  სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში).  პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მიუხედავად რეაქტივების და ხელსაწყოების  მწირი რესურსებისა  მაინც ხორციელდება აუცილებელი ექსპერიმენტები.<br><br>პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა რომ მიუხედავად საბუნებისმეტყველო  ლაბორატორიის არარსებობისა  ხელთ არსებულ მწირ  რესურს აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში ექსპერიმენტების  ჩასატარებლად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან საგანმანათლებლო დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს და ინტერნეტ რესურსებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ გრიფირებული სახელმძღვანელოების კომბინირებას დამხმარე ციფრულ და ვიზუალურ მასალებთან, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიკურსა და საინტერესოს ხდის. სკოლის მატერიალური ბაზა არის ჩართული კურიკულუმის იმპლემენტაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების და დამხმარე სასწავლო რესურსის აღმწერი დოკუმენტი. ხელოვნების საგანში ინტენსიურად გამოიყენება ტელესკოლის გაკვეთილები, მუსიკის საგანში- პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მოწოდებული აქტივობები, აუდიო-ვიდეო მასალა. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის სკოლა იყენებს ნებისმიერი კლასის გრიფირებულ თუ ადაპტირებულ სახელმძღვანელოებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ონლაინბმულები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული სასწავლო თემის დამუშავების პროცესში გაწერილი სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი მრავაფეროვანი |

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო რესურსები, ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, აგრეთვე იყენებენ სხვადასხვა სასწავლო პლათფორმასაც, რაც დაადასტურა კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და იკითხება კურიკულუმებშიც.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, საკითხის შესაბამისი ელექტრონული რესურსები, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან სასწავლო და დამხმარე რესურსებს, ქმნის საინტერსო გარემოს სწავლის პროცესში და მოსწავლეებს სთავაზობს უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს, რათა საგაკვეთილო პროცესი იყოს ხალისიანი, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში.<br><br>რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ.<br><br>საბაზო და საშუალო საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მიუხედავად მწირი ლაბორატორიული რესურსისა ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე აქტიურად გამოიყენება უსაფრთხო სადემონსტრაციო ექსპერიმენტები და ასევე აქტიურად იყენებენ დამხმარე რესურსად ვიდეორესურსებს.<br><br>სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები (ვიდეომასალები, დამატებითი საკითხავი მასალა) შეირჩევა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან შესაბამისობისა და კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან თავსებადობის საფუძველზე.<br><br>მიუხედავად მწირი ლაბორატორიული ბაზისა, კათედრა ახდენს ალტერნატიული რესურსების ვალიდაციას და პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად მართალია მწირ მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში უსაფრთხო სადემონსტრაციო ექსპერიმენტებს. აღნიშნული რესურსების გამოყენება წინასწარ არის შეთანხმებული კათედრის სხდომებზე, რაც ადასტურებს ვალიდაციის პროცესის არსებობას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო რესურების ვალიდაციის უზრუნველყოფა ნათლად ჩანს წარმოდგენილ დოკუმტებში. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დავასკვნი, რომ რესურსები განხილულია და შექმნილია კათედრაზე. რადგან იკვეთება საგნობრივი კავშირები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | დაწესებულებაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მკაფიო მექანიზმი. სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა არაგრიფირებული რესურსი იყოს ვალიდური და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი.<br><br>ვალიდაციის პროცესი ხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე, სადაც პედაგოგები წარადგენენ შერჩეულ მასალებს და ხდება მათი შეჯერება სასწავლო მიზნებთან. გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია რესურსების ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა, რაც გულისხმობს სასწავლო წლის ბოლოს იმ მასალების რევიზიას, რომლებმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა მოსწავლეთა ტიპური შეცდომების დაძლევის პროცესში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესში გამოიყენება დამხმარე რესურსი (ტელე-სკოლის ვიდეო გაკვეთილები, აუდიო და ვიდეო მუსიკალური რესურსი, სხვადასხვა თვალსაჩინოება და სხვა). კათედრაზე მოწმდება, რამდენად არის ვალიდური შერჩეული სასწავლო რესურსი, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სკოლაში სახელმწიფო ენის კათედრაზე თანხმდებიან, რომ რესურსი საგნობრივად და ეთიკურად მიზანშეწონილია. კათედრა თვითონ იღებს პასუხისმგებლობას, რომ შერჩეული რესურსები შეესაბამება ეროვნულ |

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმას და მისი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, არის ასაკისათვის შესაფერისი, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მიკერძოებულ შინაარს და ითვალისწინებს მოსწავლის განვითარების დონესა და ინტერესებს.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე. მსჯელობენ და აკეთებენ დასკვნებს რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს და შესაბამისად შეარჩევენ რესურსებს დაადასტურეს კათედრის წევრებმა.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | გამოყენებული რესურსები, როგორიცაა ონლაინ საიტები, საგანმანათლებლო პორტალი, ციფრული თუ დამატებითი სასწავლო რესურსები, შესაბამისია განათლების სტანდარტებთან, ვალიდურია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებაზე, რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>საბაზისო რესურსის სახით გამოყენებულია განათლების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმებში აღნიშნული დამხმარე რესურსების დოკუმენტური ასახვა მწირია, პრაქტიკაში მათი გამოყენება რეალურია და პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობრივ საჭიროებებს.<br><br>სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო საბაზისო მატერიალურ რესურსებს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და თემატურად შესაბამისი ელექტრონული რესურსები, რაც ხელს უწყობს თეორიული კომპონენტის ეფექტიან რეალიზებას.<br><br>ამასთანავე, იკვეთება, რომ ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა მოცემულ ეტაპზე ზღუდავს კურიკულუმით |

| | |
|---|---|
| | გათვალისწინებული პრაქტიკული და კვლევითი აქტივობების სრულმასშტაბიან განხორციელებას. მიუხედავად ამისა, პედაგოგები ახერხებენ პრაქტიკული კომპონენტის ნაწილობრივ კომპენსირებას ალტერნატიული მიდგომებისა და STEM კლუბის ბაზაზე არსებული რესურსების გამოყენებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ითვალისწინებს ლაბორატორიის მოწყობასა და აღჭურვას განსაზღვრულ ვადებში — 2026 წლის 1 ივნისიდან 8 სექტემბრამდე, რაც მიუთითებს საკითხის სისტემურად გადაწყვეტის მზაობაზე. აღნიშნული გეგმის შესრულების რეალისტურობას ადასტურებს სამინისტროს წერილი (№05.03.2026), რომლის მიხედვითაც სკოლა საჭირო ინვენტარსა და აპარატურას დაგეგმილი ცენტრალიზებული შესყიდვების გზით მიიღებს. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა, რომ ინდიკატორი შეფასდეს, როგორც **მეტწილად შესაბამისი.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დავასკვენი, რომ კათედრას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები ,რომლებიც ზედმიწევნით პასუხობს სწავლის შედეგების უზრუნველყოფას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| უცხოური ენები | სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ისინი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან. საკლასო ოთახების აღჭურვილობა და სივრცული მოწყობა იძლევა კურიკულუმით გათვალისწინებული ინტერაქციული სწავლების მეთოდების (ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, პრეზენტაციები) შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი. კომპიუტერული ლაბორატორია, 3 პერსონალური და 1 ლეპტოპი, პროექტორი, ფორტეპიანო, და სხვა),რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული |

| | |
|---|---|
| | სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლა ცდილობს არსებული მატერიალური რესურსების შენარჩუნებას და მომავალში გაუმჯობესებას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სწავლის პროცესში შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა სკოლას შესაბამისი გარემო და ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| მათემატიკა | სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. კერძოდ, სკოლას გააჩნია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, რაგბის ბურთები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ფეხბურთის კარები, თარჯები, ნიშნულები, ბაგირი, ჩოგნები და სხვ. ასევე, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, როგორც მატერიალური რესურსი ისე დამხმარე მასალა. სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას ხელს უწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადაც სწავლა /სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით.<br>**ინდიკატორი შეესაბამება** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელსაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნია. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია 24 მასწავლებელი. აქედან ერთს აქვს მენტორის სტატუსი, 3 წამყვანია და 20 უფროსი მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 1 სსსმ პირის ასისტენტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
საგნობრივი კურიკულუმები;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
სასწავლო რესურსების ჩამონათვალი კურიკულუმში;
სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;
საშტატო ნუსხა;

მასწავლებლის პირადი საქმე;
გაფორმებული ხელშეკრულებები; (უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი);
რესურსებით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში ნათლადაა აღწერილი როგორც, კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პროცესი, ასევე, პროცესებზე

პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. სკოლა კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს სწორედ ამ დოკუმენტში გაწერილი პროცესების შესაბამისად.

**ინდიკატორი შეესაბამება**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ, ისინი სრულიად აცნობიერებენ კურიკულუმის მონიტორინგის მნიშვნელობას. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს- ეს არის მხარდაჭერა იმ გამოწვევების და პრობლემების მოსაგვარებლად, რასაც ისინი აწყდებიან კურიკულუმის დანერგვის პროცესში. სკოლაში დანერგილია და წარმატებით მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტი, რაც ხელს უწყობს პრობლემის იდენტიფიცირებას და ეფექტური უკუკავშირის საშუალებით პრობლემების მოგვარებას.

**ინდიკატორი შეესაბამება**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოებისათვის მხოლოდ მხარდამჭერი ფუნქციის მატარებელია და ემსახურება კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას და დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესები არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
ურთიერთდასწრების და უკუკავშირის ფორმები;

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის ობიექტური შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. ამისათვის მასწავლებლები კლასის ხელმძღვანელებისგან მოიძიებენ ინფორმაციას მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობის, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების შესახებ, მათ პიროვნული მახასიათებლებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ, მასწავლებლებს კათედრებზე შემუშავებული აქვთ შეფასების სხვადასხვა ფორმა: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ურთიერთშეფასების რუბრიკები, თვითშეფასების, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები და ა.შ.

**ინდიკატორი შეესაბამება**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გამოყენებით. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასების დროს ითვალისწინებენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მის შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად მათი ოჯახური თუ სოციალური პირობები, შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ მრავალი კონტექსტის გათვალისწინება შეფასების პროცესში. შესაბამისად, ისინი მოსწავლეებზე დაკვირვებას ახდენენ არა მხოლოდ ფორმალურ გარემოში, არამედ, არაფორმალურ გარემოშიც. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებულია შეფასების პროცესში.

**ინდიკატორი შეესაბამება**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას სკოლაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები,როგორიცაა: რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევა, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიუ და სხვა.

**ინდიკატორი შეესაბამება**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა, მოსწავლის ოჯახური თუ სოციალური პირობები, მისი ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გონებრივი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროებები, ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები.

**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

შეფასების რუბრიკები;

თვითშეფასების,ურთიერთშეფასების ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

## 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის დასასრულს, სკოლა გეგმავს მიმდინარე წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების თუ მიგნებების გაანალიზების საფუძველზე შექმნას საჭიროებათა პაკეტი, რათა შექმნას ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტები ყველა საგანში.

**ინდიკატორი შეესაბამება**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას, რათქმაუნდა, სკოლა ეყრდნობა გასული სასწავლო წლის გამოცდილებას, მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს, მათ შესაძლებლობებს, კურიკულუმის დანერგვის დროს გამოკვეთილ მიგნებებს, ასევე, ითვალისწინებს კურიკულუმის მონიტორინგის შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა;
კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2025-2032 წლების  სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის  სამოქმედო გეგმა.
- სტრატეგიული დაგეგმვის განვითარებისა მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება(ბრძ.#42/05/09/2024)
- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
- 2025-2032 წლების  სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის შენაგანაწესი
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულება
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი= გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eschool ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიმი დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კვლევისა და მონაცემთა შეგროვების ჯგუფის ბრძანება
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები
- მასწავლებელთა სიგელები/სერტიფიკატები

თარიღი 19.05.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თეონა ბუხიაშვილი

ხათუნა თოიძე ;

ნანა ნიკოლაშვილ;

Rusudan Niparishvili 24001015864
Digitally signed by Rusudan Niparishvili
Date: 2026.03.19 07:52:28

რუსუდან ნიპარიშვილ;

ხათუნა კალმახელიძე;

მაკა აფრიამაშვილი;

ნატო კვეტენაძე;

მაია ჩაჩხიანი;

ქეთევან ქობალია;

ნინო ჭანტურიძე;